ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: შ.პ.ს ,,ინსეკო''

საფუძველი: 12/13255132-16 01.11.2013წ.

მისამართი: მიცკევიჩის ქუჩისა და კუტუზოვის ქუჩის კუთხე №19 (ნაკვეთი 29/040).
საკ.კოდი: 01.10.14.29.040

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №409566 29.10.2012წ. AR183135
ფუნქციური დანიშნულება: უმაღლესი სასწავლებელი III კლასი

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (13.11.13) **დადგინდა:**

საქვაბეზე და შენობაზე შეცვლილია კარების ნახატი. ფასადებზე მეტალო პლასტმასის კარ-ფანჯრების ნაცვლად მოწყობილია ალუმინის კარ-ფანჯარები. პირველი სართულის კედლები შეღებილია განსხვავებული ფერით.

ფასადი E-A ღერძებში: შეცვლილია სამი ფანჯრის ნახატი. +0.00 ნიშნულზე A-G[1] მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟის ნახატი.

ფასადი 6-1 ღერძებში: -1.11 ნიშნულზე 3-2 მონაკვეთში კარის თავზე დამატებულია გისოსი. +10.50 ნიშნულზე 4-3 მონაკვეთში შემცირებულია ფანჯრების გაბარიტი.

ფასადი A-E ღერძებში: +3.50 ნიშნულის ზემოთ B-C მონაკვეთში საპროექტო შენობის კედელზე მიერთებულია არსებული შენობის ნაწილი, რომელიც არ არის ასახული პროექტში.

შენობის შიგნით პირველ სართულზე B-C მონაკვეთში 6-6 ღერძის გარეთ დამატებულია სათავსო ფართით 2.8 მ^2 სიმაღლე 1.80 სმ. კიბეებზე შეცვლილია საფეხურები.

ჭრილის ნახაზზე სახურავში არ არის ნაჩვენები ხის დგარები.

სახურავზე დამატებულია ორი სამერცხლე და მილები.

საპროექტო ტერიტორიის ორ მონაკვეთში არ არის მოწყობილი ლითონის ღობე. ზოგ მონაკვეთში გამწვანების ზოლი და მოპირკეთება არ ემთხვევა გენ.გეგმაზე ნაჩვენებს.

_____ ვ.ამისულაშვილი

_____ გ.გეგელაშვილი